სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 30
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „18“ ივნისი “2012 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი თოიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო ნოზაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც, „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

„სახაზინო პროცედურები და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის“ 37 საათიანი სატრენინგო მომსახურების შესყიდვა შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი 1 (ერთი) კანდიდატისათვის. (CPV კოდი 80500000)

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2012 წლის 25 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი გორგასლის #10;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 440 (ოთხასორმოცი) ლარს.

4.2 ერთი კანდიდატისათვის ტრენინგის ჩატარების ღირებულება შეადგენს 440 (ოთხასორმოცი) ლარს.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

4.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.1.1 სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაადგინოს სასწავლო კურსის გავლისათვის სავალდებულო მოთხოვნები და პირობები;

5.1.2 სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები;

5.1.3 განსაზღვროს/დაადგინოს შუალედური ან/და საბოლოო, შემაჯამებელი გამოცდების გამსვლელი ქულები (გამსვლელი ქულების ზღვარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1 მოითხოვოს დეტალური ანგარიში სასწავლო კურსის (სასწავლო ხასიათის პროექტის) განხორციელების შედეგებთან დაკავშირებით;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისიწნებული სასწავლო კურსების ორგანიზება და შესაბამისი ტრენინგის ჩატარება;

5.3.2 სასწავლო პროცესის - ტრენინგების ჩატარება 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;

5.3.3 სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა აუცილებელი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასწავლო პროცესების დასრულების შემდგომ გასცეს შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი;

5.3.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.3.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

5.4 შემსყიდველი ვალდებულია:

5.4.1 სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

5.4.2 თუ არსებობს წინასწარ ობიექტური გარემოება, სასწავლო პროცესის დაწყებამდე არ გამოცხადებასთან დაკავშირებით, აღნიშნულის შესახებ, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა, წინასწარ, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს. სხვა შემთხვევაში, რაც წინანსწარ ვერ იქნებოდა განსაზღვრული შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს აკადემიას და წარმოუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

5.4.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მომსახურების გაწევის დროს.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდგომ, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდგომ, შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან, (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი,

ღგ-ეს არ გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის ფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში; თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მხარეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეები იტოვებენ უფლებას შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი არ დაესწრება სასწავლო კურსს, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო კურსის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ

არუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

15. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს.ს.ი.პ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი თოიძის სახით
მისამართი: ქ. რუსთავი, მე-12 მკ/რ
ტელ: 595257122
ს/კ216297433
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ა/ნ200122900, ბ/კ220101222

ბადრი თოიძე

მიმწოდებელი

სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის **სერგო ნოზაძის** სახით,
იურიდ მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება აბზიანიძის ქ. №4, ს/კ 206348987
ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ანგარ. №GE57LB0121155378019000, ბანკის კოდი LBRTGE22

სერგო ნოზაძე